



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსელიანი თეიმურაზ კლიმენტის ძე



თ. იოსელიანი

იოსელიანი თეიმურაზ კლიმენტის ძე (21. X. 1929, ქუთაისი, – 16. VII. 2013, თბილისი), ფიზიოლოგი. საქართველო. მეცნი. აკად. აკადემიკოსი (1983). ბიოლ. მეცნი. დოქტორი (1969), პროფესორი (1970). თავის ტვინის კვლევის საერთაშ. ორგანიზაციის წევრი. საქართველო. საბუნებისმეტყველო მეცნი. აკად. ნამდვ. წევრი და მისი პირველი პრეზიდენტი (1994), საქართველო. მედიკ. მეცნი. აკადემიის (1994), საქართველო. ეკოლ. მეცნი. აკადემიის (1995), ნიუ-იორკის (აშშ) მეცნი. აკად. (1995) წევრი.

1955 დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი. 1958-იდან იყო საქართველო. მეცნი. აკად. ფიზიოლ. ინ-ტის უმცროსი, 1962-იდან კი უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1976– 83 – ამავე ინ-ტის თავის ტვინის ნერვული ცენტრების ფუნქციური ორგანიზაციის კვლევითი ლაბორატორიის გამგე. თსუ-ის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლ. კათედრის გამგე (1978–2006).

ი-მა შეისწავლა კუნთოვანი და ნერვული ბოჭკოების ფიზიოლოგიის ზოგიერთი ასპექტი, ტონური და ტეტანური ნერვ-კუნთოვანი აპარატის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები, ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების შემაკავებელი მექანიზმები, თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები, მიკროელექტროდული ტექნიკის გამოყენებით – თავისა და ზურგის ტვინის ცალკეულ ნეირონთა უჯრედშიგა და

უზრედგარეთა ელექტრული პოტენციალები, ცხოველთა მოკლევადიანი მეხსიერების ფენომენი და სხვ.

1998 აშშ-ში დაჯილდოვდა „2000-წლეულის ოქროს საპატიო მედლით“ და სიგელით – „1998 წლის გამოჩენილი ადამიანი“. მიღებული აქვს აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის, ი. ვ. გოეთეს, ე. ჰეკელის, მ. მუხაძის და ბაბა ფანასკერტელის სამახსოვრო მედლები, სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998) და საქართველოს სახელმწ. პრემია (2002).

თხზ.: ზოგადი ნეიროფიზიოლოგია, თბ., 1993; ვისცერალური სისტემები, თბ., 1996; ადამიანის ფიზიოლოგია: კუნთოვანი და ნერვული სისტემები, თბ., 2001.
